პროფესორი ელენე ხარაბაძე - 80

ქალბატონი ელენეს პიროვნება იმის საუკეთესო მაგალითია თუ როგორ უნდა ემსახუროს ნამდვილი პატრიოტი და მოქალაქე მშობლიურ ქვეყანას. მისი ადამიანური კეთილშობილება ტრადიციულისა და ზნეობრივისადმი ერთგულება, როგორც მამულიშვილს, მოქალაქეს, აღმზრდელს, უდიდეს ავტორიტეტს უქმნის ინტელექტუალურ წრეებსა და ფართო საზოგადოებაში. სიკეთის ქმედებისა და სხვათა ტკივილების შემსუბუქებისათვის დაუცხრომელი ზრუნვა მისი ადამიანური მოწოდება და უმაღლესი მიზანია.

ელენე ასლანის ასული ხარაბაძე დაიბადა 1944 წლის 23 თებერვალს, სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში, პედაგოგების ოჯახში.

1950 წელს შევიდა დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლაში, რომლის შვიდი კლასის წარმატებით დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა დიდი ჯიხაიშის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმში ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობით. დიდი ჯიხაიშის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის სრული კურსი წარჩინებით დაამთავრა 1960 წელს.

1961-1966 წლებში ელენე ხარაბაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტია ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობით. 1968-1972 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1976 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: საქართველოს ღვინის მრეწველობის საწარმოო ფონდების გამოყენების ეკონომიკური ანალიზი და მათი ეფექტურობის ამაღლების რეზერვები.

ქალბატონი ელენე 1969-2006 წლებში მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვისა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზის კათედრის ჯერ ასისტენტად, შემდეგ კი, უფროს მასწავლებლად და დოცენტად. 1992-1997 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის კათედრის გამგე.

2006, 2009 და 2012 წლებში კონკურსის წესით არჩეულ იქნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის პროფესორად და კათედრის ხელმძღვანელად, 2018 წლიდან ელენე ხარაბაძე თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ემერიტუს პროფესორია.

2007-2009 წლებში იყო თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, 2009-2012 წლებში - დეკანის მოვალეობის შემსრულებელი.

პროფესორი ელენე ხარაბაძე გახლავთ 115 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მათ შორისაა 3 მონოგრაფია, მრავალი სახელმძღვანელო და ლექციების კურსი.

განსაკუთრებით დიდია ქალბატონო ელენეს ღვაწლი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი. იგი, წლების განმავლობაში იყო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის თამჯდომარე; აქტიურად იყო ჩართული ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განვითარებაში; თითოეულ ჩვენგანს საკუთარ თავზე გვაქვს გამოცდილი მისი მშობლიური მზრუნველობა და თანადგომა. იგი დღესაც ფაკულტეტის წარმატებებისა და პრობლემების ერთ-ერთი პირველი გამზიარებელი და გულშემატკივარია.

პროფესორი ელენე ხარაბაძე დაჯილდოებულია ივანე ჯავახიშვილის მედლით, ღირსების ორდენით.

ქალბატონ ელენეს გულწრფელად ვულოცავთ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ხანგრძლივ და ბედნიერ სიცოცხლეს, მტკიცე ჯანმრთელობას, დიდ წარმატებებს მეცნიერებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების სახელით

ნათია წიკლაშვილი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
ბადრი გეჩბაია,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი.